სამშაბათი, 16 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 226

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ღირს 3 მან.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება, შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

მწუხარებით აღსავსე **მარიამ გიორგის ასული, მარიამ ალექსანდრეს ასული, ივანე, მიხეილ და ბენიამინ, ანნა, ბარბარე, მელანია და ნატალია იოსების ძენი და ასულნი** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას პირველი საყვარელ შვილისას, მეორე ქმრისას დანარჩენნი საყვარელ ძმისა და უკანასკნელი მაზლისის

## ევგენი იოსების ძის ინდუაშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის 12 საათზე. და საღამოს 6 საათზე. ელისაბედის ქ. 17. ცხედარს გამოასვენებენ 18 ოქტომბერს დილის 10 საათზედ წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დაასაფლავებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. (3—363—1)

გარდაიცვალა

## თავ. გიორგი ივანეს ძე დადიანი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს მისი მშობლები **ივანე ელიზბარის ძე დადიანი** და **ეკატერინე თეიმურაზ აგიაშვილის ასული, ცოლი მარიამ ალექსანდრე ჩქოტუას ასული** და ძმა **კონსტანტინე ივანეს ძე დადიანი**. განსვენებულის გვამის დაკრძალვა მოხდება ს. ნოსირში 17 ოქტომბერს. (1—ს. ფ.—1)

9-ს ამ ოქტომბერს 1907 წელს გარდაიცვალა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ერევნის ოლქის სასამართლოს წევრი

## მიხეილ იოსების ძე ფიცხელაური,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის დები და ძმა. გამოსვენება გვამისა სახლიდან, ჟუკოვსკის ქუჩა № 10, იქმნება სამშაბათს, 16 ოქტომბერს, დილის ათ საათზედ, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში; დამარხვა იქმნება სოფელს პატარძეულში, სადაც წასვენებული იქმნება გვამი განსვენებულისა. (1—1)

## სახაზინო თეატრში. ქართული წარმოდგენა

ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს, 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**✦✦ ელენე ანდრონიკაშვილის სადებიუტოდ ✦✦**

I

### დაუპატიჟებელი

დრამა 1 მოქმედ. მეტერლინკისა, თარგ. ა. ადამაშვილისა.

II

### ახალი ქალა

პიესა 4 მოქმ. ლანგმანისა თარგ. ევდოშვილისა.

**წარმოდგენის დაწყებამდე ექიმ ივ. გომართელი წაიკითხავს რეფერატს მორის მეტერლინკზე.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისი, ვ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, მ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიშვილი, ი. ყიფიძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, დ. ჩარკვიანი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 2 მ. 50 კ.-დან 10 მ.-მდე, პარტერი—1 მ. 25 კ.-დან 3 მ.-მდე. ბალკონი 75 კაპ.-დან 1 მან.-მდე, გალერეა 30 კაპ.-დან 40 კაპ.-მდე.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად „ქალაქში“, „ოჯახის ბურჯი“, „მზის ამოსვლამდე“.

მორიგი წევრი გამგეობისა **პარ. გოთუა.**

სახელმწიფო ბანკის

## ტფილისის განყოფილება

იწვევს იმ პირთ, ვისაც სურს წარუდგინოს ბანკს 1,800,000 ცალი აგური, 30,000 ფუთი კირი და 300 კუბიკურ საჟენამდე ქვიშა ახალ შენობის ასაგებად განყოფილებისათვის.

დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება შენობის ამგებელ კანტორაში. მსურველმა თავისი პირობები ბანკის განყოფილებაში უნდა წარადგინოს დაბეჭდილ კონვერტით. ცალ-ცალკე განცხადებანი უნდა იყოს აგურზე, კირზე და ქვიშაზე. განცხადების შეტანის ვადად დანიშნულია ამა წლის 30 ოქტომბერი, დღის 12 საათი. (3—6—2)

**ელექტრონის და რენტგენის**
**სამკურნალო კაბინეთი**

### მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—ნ.—24)

ექიმი

### ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ექიმი

### ა. ნ. დიასამიძე

**ქანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

### ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებიო ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი ქალი

### ე. დ. ნასარ ძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნახარიძის ბინაზე. (346)

**კბილის ექიმი**

### ს. გ. რომანიშვილი

მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.

მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—23)

კბილის ექიმი

### ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ქ. ქუთაისში

### ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და ქანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უოპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—11)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**განჯის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდენკო**—შინ. ს ნეულ. კვირა 3—4 ს.
**რიდელ**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. 1½—3 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველდღე. 1—12 ს,
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
**ასპისოვი.**—ყურ. ყელ. ცხვ. ყოველ დღე 12½—1½ ს. სამშაბ. და პარ. გარდა.
**იოზეფიანინსა**—ქალ. ავად., ორშ., ოთხშ.. პარას. კვირ. 1—2 ს.
**ბოგოვსკი**—შინ. ყოველდღე 11½—1 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 11½—1½
**ინაევი**—ქალთა ავად. დროებით წავიდა.
**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულ., ელექტრ. ყოველდღე. 4—5 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკი**—ქალ., ბავშვ. ყოველ 1—2.
**ნევშტროვა**—კბილისა, ყოველდღე 10—12 და 3—5 ს.
**გორომცოვისა**—მასსაჟი. ყოვ. დღე 12—4 ს.
**პივარსკი** — | **ჩუდნოვსკი**— | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—45)

კბილის ექიმი

### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—200)

**დოქტორი მედიცინისა**

### გ. გ. გურგენოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა **გადმოვიდა** გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო სახ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—4)

ექიმი ქალი

### ს. ზ. მირზოევისა

მიიღებს თვალებით ავათმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით 1½—2½ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—1)

## სკოლა

დიჩკოვისა და ჯაფარიძისა.

**ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.**

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121 ეზოში. (12—339—10)

## ვასწავლი

**ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს.** პრაქტიკა და თეორია. ვაძლევ აგრეთვე **სპარსულ ენის გაკვეთილებს.**

ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 69, ბინა 4. იქვე პირველ დაწყებითი გაკვეთილები მუსიკისა. (3—354—3)

## ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, მოითხოვოს ფირალოვის პაპიროსი „სიმპატია“ და „ინტელიგენტი“, რომელიც წმინდა „გრაინცის“ საუკეთესო პლანტაციების სუნელოვან თუთუნით არის შეზავებული და პროგრესიულად გაუმჯობესებული.

(10—კვ—6) პატივისცემით **მმ. ფირალოვები.**

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

მოითხოვეთ საუკეთესო

## წისქვილის ქვები

ამხ. **„გეორგია“**-ს კანტორაში გოლოვინის პროსპექტზე, სახლი მანთაშოვისა № 6—ეზოში. (20—495—20)

ტფილისი, 16 ოქტომბერი.

ტფილისის და ქუთაისის საპარლამენტო არჩევნებზე სოციალ-დემოკრატებმა მესამედ გაიმარჯვეს. ვერც საარჩევნო აგიტაციის შევიწროვებამ, ვერც საარჩევნო სიებიდან კანდიდატების ამოშლამ, ვერც საარჩევნო კანონის ძირითადმა შეცვლამ ვერაფერი დააკლო ჩვენებურს სოციალ-დემოკრატებს. ყველგან, მთელს რუსეთში რეაქციის ქამანდებმა სულერთიან შეაცვლევინა პირი არჩევნებს, საქართველოში კი „ერთად-ერთი სოციალ-დემოკრატია“ სდგას უძლეველი, უცვლელი და ურყეველი. რეაქციის გასაძლიერებლად განაპირა ქვეყნებში საერთოდ და ჩვენში კერძოდ მკვიდრ რუსებისაგან განცალკევებული საარჩევნო კურია შექმნეს, მაგრამ ამანაც ვერაფერი დააკლო ქართველ ს.-დემოკრატებს. მთელს რუსეთში ყველა საოპოზიციო ელემენტებს საეჭვოდ მიაჩნდათ და, სადაც ჯერ არჩევნები არ დასრულებულა, დღესაც საეჭვოდ მიაჩნიათ თავისი გამარჯვება, თუ კი თითოეული მათგანი ცალკე იმოქმედებდა და ამიტომ ბევრ მემარცხენე მიმართულებას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ყველა საოპოზიციო ელემენტების შეერთება საარჩევნო კომპანიაში მემარჯვენეების წინააღმდეგ. ქართველ სოციალ-დემოკრატებისათვის ამ შეერთების და შეთანხმების საკითხებს მხოლოდ თეორიული (უკეთ რომ ვთქვათ პარტიული) მნიშვნელობა ჰქონდათ, პრაქტიკულად კი მათთვის ეს საკითხები არ არსებობდნენ. შეუერთებლივ და შეუთანხმებლივაც მათ სრული იმედი ჰქონდათ გამარჯვებისა და აკი კიდეც გაიმარჯვეს.

რა თვალითაც უნდა შევხედოთ ამ ფაქტს, რა ფასიც უნდა დასდოთ მათს გამარჯვებას, იმას მაინც ვერაფრის გზით ვერ უარჰყოფთ, რომ ს.-დემოკრატია, როგორც პარტია, ჩვენში მეტად თვალსაჩინო ძალაა. რა ღირსების, რა შედგენილების და რა ისტორიულ ან სოციალურ პირობების ქმნილებაა იგი, ეს სხვა საკითხია. ამაზე შეიძლება სხვა და სხვა აზრი არსებობდეს, მაგრამ თვით ფაქტი სოციალდემოკრატიის ძლიერებისა კი მაინც უცილობელია. პირველ ორ არჩევნებში მშრომელ ხალხის სხვა და სხვა ელემენტები საკმაოდ თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ. ამიტომ ფორმალურად გამარჯვებულებს საბუთი ჰქონდათ ეთქვათ, შრომის ინტერესების დამცველნი ვართ და მშრომელმა ხალხმა აგვირჩიაო. ეხლანდელს არჩევნებში კი, სამი ივნისის კანონის მეოხებით, მშრომელ ხალხის გავლენა თითქმის სრულიად გაქარწყლებული იყო. საარჩევნო ბურთი და მოედანი შეძლებულ კლასსებს (ბურჟუაზიას და თავადაზნაურობას) ჰქონდათ ჩავარდნილი ხელში. ამისდა მიუხედავად გამარჯვება ისევ იმათ ჰხვდათ წილად, ვინც თავის თავს მშრომელ ხალხის დამცველად აცხადებს.

როგორ მოხდა ეს, რა აზრი აქვს ამ ფაქტს? პირველის შეხედვით ორში ერთი უნდა იყოს, ან ეხლანდელი საარჩევნო კანონი მშრომელთა საარჩევნო უფლების თვალსაჩინოდ შემავიწროვებელი არ უნდა იყოს და ან ამ კანონით არჩეული დეპუტატები მშრომელ ხალხის ინტერესების გამომხატველნი არ უნდა იყვნენ. მართალი რომ ვთქვათ, არც ერთი ეს ახსნა არ შეეფერება სინამდვილეს. არც იმის თქმა შეიძლება, რომ საარჩევნო კანონი მშრომელ ხალხის საარჩევნო უფლებათა გამაქარწყლებელი არ იყოს, და არც იმის მტკიცება იქნება სიმართლე, რომ არჩევნებში გამარჯვებული სოციალდემოკრატია შრომის ინტერესებს არ იცავდეს.

ჩვენებურ არჩევნების ეხლანდელი ნაყოფი ჯადოსნურ გამოცანას ჰგავს და იმ დრომდე დარჩება იგი გამოუცნობელი,ვიდრე სქემატიურ მსჯელობას არ დავაღწევთ თავს და პირ-და-პირ რეალურ ფაქტებს არ გავუწევთ ანგარიშს. ეს ფაქტები კი, საითაც უნდა გაიხედოთ ჩვენს ქვეყანაში, საარჩევნო კრებაზე, მიტინგებზე, მწერლობაში, სოფლად თუ ქალაქად, ყველგან იმას დაგანახვებენ, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, პარტიულად დარაზმულებს და პარტიულის დისციპლინით ძლიერებს, არსად ბურჟუაზიული და თავად-აზნაურული ელემენტები ორგანიზაციონურად მოწყობილს წინააღმდეგობას არ უწევენ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ჩვენში ბრძოლის გაწევა უხდებათ მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტებთან, მაშასადამე ისევ სოციალისტურ და არა ბურჟუაზიულ პარტიასთან. ცხადია, რომ მათ შორის ბრძოლა შრომის და კაპიტალის ინტერესთა წინააღმდეგობის ღერძზე არა ტრიალებს, ამ ბრძოლას სულ სხვა ნიადაგი აქვს. ჩვენს მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რა შინაარსი აქვს ამ ბრძოლას და ამაზე ეხლა სიტყვას არ გავაგრძელებთ. ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ სოციალ-დემოკრატებს ჩვენში შრომის ინტერესების ნიადაგზე არავითარი **პარტია** არ ებრძვის. ჩვენებური ბურჟუაზიული და თავად-აზნაურული ელემენტები პოლიტიკურ პარტიას არ წარმოადგენენ. მათთან ბრძოლაში სოციალ-დემოკრატების გამარჯვება არის დემონსტრაცია არა მშრომელ ხალხის მეტის ძლიერებისა შეძლებულ კლასსებთან შედარებით, არამედ მხოლოთ პარტიული ორგანიზაციის აუცილებელ საჭიროებისა ყველასათვის, ვინც კი პოლიტიკურ არჩევნების ასპარეზზე გამოდის.

რა თქმა უნდა, ჩვენი სოციალდემოკრატები სხვაგვარ გაჰბერავენ თავის ეხლანდელს გამარჯვებას და მთელ თავს საagitაციო გამოცდილებას შეალევენ პარტიის ქებათა-ქებას. რა თქმა უნდა, ამ ქებათა-ქებაში პირველი ადგილი ეკავება იმ აზრს, რომ სოციალ-დემოკრატია „ერთად ერთი“ დამცველია მშრომელ ხალხის, რომ ხალხმა უკვე შეიგნო ეს და სხვა. მაგრამ ასეთი აგიტაციის და თავის ქების ფასი ჩვენმა მკითხველებმა უკვე კარგად იციან. დეე, იმედიდურონ და იბაქიბუქონ, ამით საქმის ნამდვილი ვითარება არ შეიცვლება, შემთხვევითი გამარჯვება მტკიცედ ვერ იქცევა.

### არჩევნები

კვირას, 14 ოქტომბერს, ტფილისის საბჭოს დარბაზში შესდგა კრება რუსების კურიის ამომრჩევლებისა, რომელთაც უნდა ამოერჩიათ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. კრების თავმჯდომარედ დაინიშნა „გოლოს კავკაზის“ დამაარსებელი აგრონომი ბ-ნი დემენტიევი.

საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით ეპისკოპოსმა გრიგოლმა საბჭოს დარბაზში დილის 11 საათზედ გადაიხადა პარაკლისი, რომლის შემდეგ პატრიოტულ საზოგადოების ამომრჩევლების მეთაურობით უქვეშევრდომილესი დეპეშა გაუგზავნეს ხელმწიფე იმპერატორს. 12 საათზედ თავმჯდომარემ გახსნა კრება. კრებას დაესწრო 61 ამომრჩეველი. კრებას არ დაესწრო 9 ამომრჩეველი. არჩევნები შუადღიდან ღამის 1 საათამდე გაგრძელდა. 6 საათზედ ხელმეორედ შეიკრიბნენ ამომრჩეველნი და დაასახელეს სადეპუტატო კანდიდატები. პროგრესისტებმა დაასახელეს ქუთაისის ამომრჩეველი პუშკარევი 29 ხმით, ხოლო პატრიოტებმა ოთხი კაცი: ტფილისის პატრიოტების თავმჯდომარე დეკანოზი გოროდცევი 5 ხმით, პატრიოტი შავროვი 15 ხმით, ბაქოს პატრიოტულ საზოგადოების წევრი ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი ბი-

კოვი 4 ხმით. პუშკარიოვის 29 ხმამ ძალიან შეაფიქრიანა პატრიოტები, რომელთაც სხდომა აღარ განაგრძელეს და გადასდეს 9 საათისათვის, რომ ამ დროთი ესარგებლნათ და რამე ნაირად ხმების უმრავლესობა მოეპოვებინათ. 9 საათზე შეიკრიბნენ ამომრჩეველნი და ღამის 11 საათამდე კიდევ თათბირობდნენ, ხან ერთად და ხან ჯგუფ-ჯგუფად. შემდეგ შეუდგენ კენჭის ყრას. ბიკ ვმა ყუთის დადგმაზე უარი განაცხადა. ყუთები დაუდგეს 5 კანდიდატს: პროგრესისტებიდან პუშკარევს, ხოლო პატრიოტებიდან შავროვს, დეკანოზ გოროდცევს, ინჟინერ ისაევსა და პატრიოტულ საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგს თეოდორე ტიმოშკინს. პუშკარევმა მიიღო 27 თეთრი და 33 შავი. გამოირკვა, რომ ავილოვმა არც პროგრესისტებს მისცა ხმა და არც პატრიოტებს. შავროვს ამოუვიდა 30 თეთრი და 30 შავი, გოროდცევს 27 თეთრი და 30 შავი, ისაევს 28 თ. და 32 შავი, ხოლო თ. თ. ტიმოშკინს 31 თეთრი და 29 შავი. ამ რიგად სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ამიერ კავკასიის რუსებისაგან არჩეულ იქმნა „პატრიოტი" თ. ტიმოშკინი. პატრიოტებს შორის ამ გამარჯვებამ დიდი აღტაცება და „ურას" ძახილი გამოიწვია. რამდენჯერმე „ბოჟე ცარია ხრანი" იმღერეს. პროგრესისტები უკვე გავიდნენ საბჭოს დარბაზიდან. დარბაზში დარჩნენ პატრიოტები და რამდენიმე „სექტანტი", რომელთაც პატრიოტებს გაიმარჯვეს არგუნეს. ქუჩაში არჩევნების შედეგის მოლოდინში შეყრილი პატრიოტები დარბაზში ამოვიდნენ და დიდის ამბით მიულოცეს თ. ტიმოშკინს გამარჯვება. სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა ტიმოშკინმა. მას მეტის სიხარულით ცრემლები მოერია და აღელვებულმა სთქვა:

ბატონებო! სიტყვა ვერ მომინახავს, ისე აღელვებული ვარ. არ ვიცი, რით გადაგიხადოთ მადლობა იმ ნდობისთვის, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ. პირველად უნდა ვსთქვა, რომ მე, როგორც მაღალ ზნეობრივ ღვთის მორწმუნე კაცი, ვევედრები ღმერთს, მაკურთხოს მე და თქვენც ჩემის ამორჩევისათვის. მე რაც ძალა შემწევს, კარგათ იცით ჩემი თავდადება რუსეთის საქმისთვის კავკასიაში, ყოველსავე ღონეს ვიხმარ, რომ დავიცვა ჩვენი წმინდა საქმე და რუსების დროშა მაღლა ავაფრიალო. გთხოვთ თქვენც დამეხმაროთ. თქვენ ისეთ ძნელი საქმე მომანდეთ, რომ ჩემი სუსტი ძალა ვერ მოერევა ყველაფერს, რის გაკეთებაც არის საჭირო საბედნიეროდ სამშობლოსა და კავკასიის რუსებისა, რომელთა ინტერესების დამცველად მე მივდივარ. ამას კი გეტყვით, რომ ჩემს თავს დავსდებ და რუსების სახელს არ შევარცხვენ. სხვათა შორის, მე ვეცდები, რომ კავკასიის კოლონიზაციის საქმე სასურველად მოეწყოს. დღეს ჩვენს ძმებს, რუსებ, ასახლებენ ჭაობიანსა და უხეირო ადგილებზე, რის გამო ისინი კავკასიაში გამრავლების ნაცვლად იხოცებიან და ისპობიან და ამავე დროს „ინოროდცებს" კარგი ადგილები და მიწები დაუჩემებიათ. ჩვენ „კრამოლის" მოსპობის შემდეგ უმთავრესი ყურადღება კავკასიაში „რუსულ საქმეს" უნდა მივაქციოთ; თანდა-თან რუსები კარგ ადგილებში ჩავასახლოთ და მათ შორის პატრიოტული მოძრაობა უნდა გავაძლიეროთ. იმ სექტანტებს, რომელთაც ჩვენ მხარი დაგვიჭირეს და მე ამომირჩიეს, ვეტყვი, რომ მათ სარწმუნოების შესახებ ხმასაც არ ამოვიღებ. თუ ისინი თავიანთ სარწმუნოებაზე ხელს არ აიღებენ, ამას არაფერი უშავს. მხოლოდ საჭიროა, რომ მათ „რუსული საქმე" იწამონ და რუსების გასაძლიერებლად ჩვენ ამოგვიდგნენ მხარში. გმადლობთ, ბატონებო, გმადლობთ ჩემის ამორჩევისა და მით პატრიოტულ საზოგადოებ ს საქმის განმტკიცებისათვის".

ინჟენერმა ისაევმა მიულოცა თ. ტიმოშკინს გამარჯვება და ის აზრი გამოსთქვა, რომ ამიერიდან პატრიოტულ საზოგადოების საქმე კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგანაც მას სათათბიროში წარმომადგენელი ეყოლებაო. „ურა" და დღეგრძელობა ჩვენს დეპუტატებსაო,— დაამთავრა ისაევმა. პატრიოტებმა დასძახეს „ურა" და რამდენჯერმე „ბოჟე ცარია ხრანი" იმღერეს. დეკანოზმა გოროდცევმა სთხოვა დამსწრეთ, რომ ისინი მივიდნენ 15 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე პატრიოტების საძმო დარბაზში, სადაც სადღესასწაულო საღამო გაიმართება პატრიოტების გამარჯვების აღსანიშნავად და დეპუტატის თ. ტიმოშკინის პატივსაცემლად. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ტფილისის გუბერნატორად ნამყოფმა ბიკოვმა. მან სთქვა: „რუსული საქმე" კავკასიაში თუ ფრთებს შეისხამს და გაძლიერდება, ეს პატივცემულ დეკანოზ გოროდცევისა, თ. ტიმოშკინისა და სხვათა წყალობით მოხდება. დეკანოზმა გოროდცევმა პირველად პატრიოტების თავმოსაყრელად კერა შექმნა ტფილისში. აქ შექმნილი საქმე იმდენად განმტკიცდა, რომ განყოფილებებიც კი გაიჩინა ბაქოსა, ბათუმსა და სხვა ქალაქებში. ჩვენ ისე მწყობრად დავირაზმენით მ. გოროდცევის წყალობით, რომ ჩვენს წმინდა მიზანს კავკასიაში უფრო კარგად მივაღწევთ. გაუმარჯოს პატრიოტულ საზოგადოებისა და მის განყოფილებათა დამაარსებელთ პატრიოტულ საზოგადოებას მრავალ ჟამიერ"!

პატრიოტებმა რამდენჯერმე „მნოგაია ლეტა" იმღერეს, შემდეგ მრავალ ჯერ „ურა" დასძახეს. რამდენჯერმე საბჭოს დარბაზში დემონსტრატიულად გაიარ-გამოიარეს, კიდევ იმღერეს „ბოჟე ცარია ხრანი" და ნაშუაღამევის პირველ საათზე ძლივს დაიშალნენ.

—

ამავე დღეს სათავად აზნაურო საკრებულოში აირჩიეს დეპუტატი არა რუსთა მხრივ. 57 ამომრჩევლის მაგივრად კრებას დაესწრო მხოლოდ 45 ამომრჩეველი. არ მოვიდნენ ბორჩალოელ მემამულეთა ამომრჩეველნი—ექიმი მელიქიშვილი, თ. აზნ. წინამძღოლის თანაშემწე გიორგი მელიქიშვილი, თოფჩიევი, იედიგაროვი და სულთანოვი. ამ მაზრიდან დაესწრო მხოლოდ ერთი ამომრჩეველი. ორი ამომრჩეველი—გ. მელიქიშვილი და იედიგაროვი ტფილისში იყვნენ, მაგრამ კრებაზე მოსვლა არ მოისურვეს. მეთერთმეტე საათზე, სანამ ოფიციალურად გაიხსნებოდა კრება, დაიწყო ამომრჩეველთა მოლაპარაკება. სადეპუტატო კანდიდატებმა ლ. ანდრონიკაშვილმა და კ. ჩხეიძემ რამდენჯერმე წარმოსთქვეს სიტყვები. ს.-დ—ის მხრივ სხვებმაც ილაპარაკეს. სხვათა შორის ნაფიცმა ვექილმა ივ. ჯაბადარმაც ს.-დ—ას დაუჭირა მხარი. 12 საათზე ოფიციალურად გაიხსნა კრება. ბარათებით დაასახელეს ორი კანდიდატი: ლ. ანდრონიკაშვილი 15 ხმით და კ. ჩხეიძე 24 ხმით. ორივემ დაიდგა ყუთი და ორივეს ამდენივე კენჭი ამოუვიდათ: ანდრონიკაშვილმა მიიღო 19 ხმა, კ. ჩხეიძემ კი 24. ამ რიგად სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ იქმნა ს.-დ—ის კანდიდატი კარლო ჩხეიძე.

—:—

ქუთაისის გუბერნიიდან სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატად აურჩევიათ ს.-დ—ის კანდიდატი ნაფიც ვექილის თანაშემწე გეგეჭკორი.

## ახალი ამბავი

**✦ მკვლელობა.** 14 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ პოლიციის მე-9 უბანში თავს დაეცა ერთი უცნობი კაცო ყაზაროვს, ულუმბეკოვის სავაჭრო სახლის ბუხჰალტერს, ხუთჯერ დაახალა რევოლვერი და სასიკვდილოდ დასჭრა. ყაზაროვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც ცოტა ხნის შემდეგ დარდაიცვალა.

**✦ ქალთა კრება.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებ ს სადგომში 14 ოქტომბერს შესდგა კრება ქართველ ქალებისა განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ფონდის გაძლიერების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ მიიღო კომისიის უმრავლესობის აზრი და დაადგინა შეუერთდნენ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელთანაც ერთად შეუდგნენ ფონდის გაძლიერებას. ქალთა კრებამ დაადგინა აგრეთვე, ამოირჩიონ ფულის შემკრები კომისია. კომისიის რამდენიმე წევრი აირჩიეს ამ კრებაზედ, ხოლო დანარჩენებს შემდეგ ამოირჩევენ.

**✦ გაფიცვა.** ტფ. მექუდეების ხელოსნები გაიფიცნენ და თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოთხოვნილებანი წარუდგინეს სახელოსნოების პატრონებს. უმთავრესი მოთხოვნილება შეეხება 8 საათის სამუშაო დროსა და ჯამაგირების მომატებას.

**✦ სამღვდელოების კრება.** განზრახულია დეკემბერში მოიწვიონ ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება, რომელმაც სასულიერო სემინარიის შენობის შესახებ უნდა მოილაპარაკოს.

**✦ ვარნაზიანცის დასაფლავება.** ამ დღეებში ქ. ფოთში მოუწამლავთ გაზეთ „სინათლის" რედაქტორად ნამყოფი არშაკ ვარნაზიანცი, რომელიც გადმოასვენეს ტფილისში და კვირას, 14 ოქტომბერს დაასაფლავეს კიდეც ხოჯივანქის სასაფლაოზე. განსვენებულის კუბო შეამკო 20 ორგანიზაციამ და ბევრი სიტყვები წარმოითქვა განსვენებულის კუბოზე.

**✦ პოლიცმეისტერის განკარგულება.** ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება მისცა პოლიციის მოხელეებს და დაავალა მათ, რომ აუკრძალონ გარდაცვალებულთა დაკრძალვის დროს გვირგვინების ტარება ხელით. გვირგვინები უსათუოდ ეტლებზე ან ბალდახინებზე უნდა ეკიდოსო.

**✦ ავტომობილით მოგზაურობა ტფილისიდან კავკავამდე.** 28 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე ტფილისიდან ავტომობილი წავიდა კავკავში, რომელმაც ოთხი მგზავრი წაიყვანა. ავტომობილი კავკავში ჩავიდა საღამოს 7 საათზე. 202 ვერსი მას გაუვლია 11 საათის განმავლობაში. დასვენება რომ არ ვიანგარიშოთ, მას საათში გაუვლია 23 ვერსი. იგივე გზა ავტომობილს უკან დაბრუნების დროს გაუვლია $8^1/_2$ საათში, ე. ი. საათში გაუკეთებია 29 ვერსი.

**✦ ახალი ბანკი.** 7 ოქტომბერს გორში მოხდა არჩევა ახლად დაარსებულ საურთიერთო კრედიტის ბანკის გამგისა. ბანკის გამგედ აირჩიეს გორის მარშალი ნ. თუმანიშვილი, დირექტორებად—პროგიმნაზიის მასწავლებელი ო. ცერცვაძე, და ვაჭარი ბაბალი.

**✦ მღვდლის მოკვლა.** ქუთაისში 13 ღვინობისთვეს, საღამოს 8 საათზე ოთხი ტყვიით მოუკლავთ ხონის ეკლესიის ბლაღოჩინი ამიროგიაშვილი. მკვლელები მიიმალნენ.

**✦ კრება.** კვირას, 14 ოქტომბერს შესდგა საზოგადო კრება კავკასიაში სომეხთა სკოლების მასწავლებლების საზოგადოებისა. ეს საზოგადოება დაარსდა ამ დღეებში. საზოგადოებას მიზნად აქვს სულიერი და მატერიალური დახმარება გაუწიოს თავის წევრებს. კრებამ დაამტკიცა წესდება და ამოირჩია გამგეობის წევრები: ნაფიცი ვექილი ავეტიანი, აგრონომი აბოვიანი, მასწავლებელნი ვარდანიანი, მირიანიანი, ი. არუთიანი, ა. აბელიანი, ი. თათეოსიანი, დილანიანცი და მეგრაბიანცი.

**✦ პურის გაყიდვა ნაძალადევად.** 14 ღვინობისთვეს ჭავჭავაძის ქუჩაზე ერთ მეთორნესთან შევიდა რამდენიმე კაცი. მათ მეთორნე დააპატიმრეს, გამომცხვარი პური ოთხ-ოთხ კაპეიკად გაჰყიდეს, ფული პატრონს ჩააბარეს და წავიდნენ. ეს ამბავი პოლიციელის თვალწინ მოხდა.

**✦ ახალი კლუბები.** ტფილისის გუბერნატორმა კრების გამართვის ნებართვა მისცა „ახალ კლუბის" დამფუძნებელთ. კრება მოხდება სათავად-აზნაურო ქარვასლაში 21 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე.

ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა წესდება „პოლონელთა სახლისა". ამ კლუბს აზრად აქვს სამკითხველოებისა და სკოლების გახსნა, ლექციებისა და კურსების დაარსება და სხ.

**✦ სოხუმის მოურავი.** 8 ოქტომბერს სოხუმის ქალაქის საბჭომ ქალაქის მოურავად ხელმეორედ აირჩია ნ. თავდგირიძე, ხოლო გამგეობის წევრად ანჩაბაძე.

**✦ მეპურეთა კავშირის ფურცელი.** ტფილისის მეპურეების პროფესიონალურმა კავშირმა გუშინ გამოუშვა ფურცლები. კავშირი აცხადებს, რომ მან წელს 11,000 მან. იზარალა, რადგანაც ვერ შეასრულა სურვილი კოოპერატიულ ამხანაგობის დაარსებისა. ფურცელში აღნიშნულია ბირჟაზე პურის ფქვილის გაძვირება, ამიტომ მეპურეები 6 კაპ. ნაკლებ პურს ვერ გაჰყიდიანო. ბოლოს მეპურეები აცხადებენ, თუ ვინმე ჩვენზე ძალას იხმარებს, ჩვენც ძალითვე ვუპასუხებთო.

**✦ ხოლერა ბორჩალოში.** ამ დღეებში ბორჩალოში ერთი კაცი გახდა ავად ხოლერით. ავადმყოფი, იოსებ კარასიდაბა შულავერიდან ტფილისში ჩამოიყვანეს და მიხეილის საავადმყოფოში მოათავსეს.

## ფელეტონი

### მამულის მოწეს-რიგების საქმე და მისი საჭიროება ქიზიყში

ამა წლის ივლისში კავკასიის უმაღლესს მთავრობის განკარგულებით ქიზიყში მოვიდა მიწის-მომწესრიგებელი დასი, რომელიც შეუდგა მუშაობას ბოდბისხევსა, ჯუგაანსა, ხირსასა, ზემო-მაჩხაანსა და ქვემო-მაჩხაანში. ხსენებული დასი და მისი თანამგრძნობელნი მოწადინებულნი იყვნენ მოეწესრიგებინათ ქიზიყელთა მიწათმფლობელობა, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთ ამ საქმეს უნდობლად შეჰხედეს: არ უნდოდათ გაეყვანათ არც ვექილი და არც საჭირო მუშები. კომისია ბევრს ეცადა, ყველაფერი აუხსნა და განუმარტა, მაგრამ მათი გულგრილობა მაინც ვერ გასტეხა. მირზაანელებმა სულ უარი განაცხადეს და მიზეზად ის მოიღეს, რომ მოსავალი არ მოგვივიდა და ხარჯისა და ბეგრის თავი არა გვაქვსო. ესევე დასი შარშანაც მუშაობდა, მაგრამ არა გამოვიდა რა. ის, რაც წელს მირზაანში იყო, შარშან ბოდბისხევში მოხდა.

ამ ჟამად გვსურს მკითხველებს გავაცნოთ, რა მდგომარეობაშია ქიზიყში მიწით სარგებლობის საქმე, რომ ყველამ დაინახოს, რამდენად საჭიროა ამ საქმის მოწესრიგება.

მთელი ქიზიყი შესდგება 13 საზოგადოებისაგან, სადაც საერთოდ ირიცხება 22 სოფელი—8049 კომლი, ანუ 40,000 სულზე მეტი. ქიზიყი, საზოგადოდ, საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული ცივგომბორის მთა-გრეხილის ფერდობებზედ. სახნავ-სათესი და საძოვარი მინდვრები მდებარეობს ალაზნისა და ივრის ველებზედ. სახნავ-საძოვარი ადგილი კარგა მოშორებითაა. ადგილები მიზომილი აქვთ მეტად ვიწრო, გრძელ და ერთ-ერთმანეთში არეულ და გადახლართულ ნაჭრებად. ეს ადგილი საუკეთესო კუთხეა მთელის კახეთისა, საკმაოდ მოზრდილი, ნაყოფიერი და გამოსადეგი ყოველ-გვარ კულტურულ მეურნეობისთვის. მიწის ნაყოფიერება და სიუხვე სახნავ სათესისა და სათიბ-საძოვრისა გარეგნულად თითქო ცხადად ამტკიცებს, რომ ადგილობრივი ხალხი მიწით უზრუნველ-ყოფილ უნდა იყოს. ნამდვილად კი, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის: გარდა მცირეოდენ ნაწილისა, საზრდოს სიცოტავის გამო, უმრავლესობა შემოდგომაზე და ზამთარში მიემგზავრებიან სამუშაოდ ვენახებსა და რკინის გზებზედ. ამგვარ ანორმალურ მოვლენას მრავალი მიზეზი აქვს, ხოლო უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მიწა გლეხთა შორის უთანასწოროდ არის განაწილებული; არ არის ნამდვილი მიჯნები, რის გამო დაუსრულებელი დავაა ატეხილი, რაიცა ხშირად კაცის კვლითაც თავდება; ხშირია აქ ისეთი შემთხვევა, რომ ორი ერთმანეთისაგან დაშორებულ სოფლის მამული პირუკუღმაა განაწილებული: ერთი სოფლის მამული მიჭრილი აქვს მეორეს, ხოლო მეორეს მამული—პირველს. შეჰხვდებით იმასაც, რომ სულ სხვა და სხვა სოფლის გლეხთა მამულები ერთმანეთშია გადარეული. მიწათ მფლობელობა აქ მეტის-მეტად გამოურკვეველია. არ მოიპოვება არც ერთი სოფელი, რომლის რომელსამე მამულზე არა დაობდეს მეორე სოფელი. ხშირად მოხდება ხოლმე ისიც, რომ ერთისა და იმავე ნაჭრით წელს ერთი სოფელი სარგებლობს, გაჰსს მეორე.

მიწა-წყლის ამ მოუწესრიგებლობისა და აგრეთვე ფრიად სამძიმო სახელმწიფო გადასახადებისა გამო მეტად შერყეულია ადგილობრივ გლეხთა ყოფა-მდგომარეობა და კეთილ-დღეობა. თუმცა 1900 წლის 12 ივნისის კანონი აქაც შემოიღეს, მაგრამ მან, მიწათ-მფლობელობის გამოურკვევლობისა გამო, სარგებლის მაგიერ ქიზიყელებს ზარალი მოუტანა. მთელი ქიზიყი 1900 წლის კანონამდე საკომლო და საერობო გარდასახადს იხდიდა წელიწადში 94,748 მანათს და 39 კ., ხოლო 1900 წლის შემდეგ იხდის 149,951 მ. 33 კ., ესე იგი 55202 მ. 94 კაპიკით მეტს.

გადასახადთა გამწერ სამაზრო სამმართველოს უკანასკნელ ცნობებით, ქიზიყელთა ხმარება-სარგებლობაში არის სულ 153,331 დესეტინა მამული. თვითო დესეტინა მამულზე გადასახადი, ორთა შუა რიცხვით მოდის 98 კაპ. (აქ არ არის ნავარაუდევი ის საზოგადო გადასახადები, რომელიც 1905 წელს ბეგარების გარდა, შეადგენდა 75,692 მ. 31 კ.). თვითეულ კომლს ჰხვდება 19 დესეტინა, ხოლო თვითეულ მამრობითის სქესის სულს $7^1/_3$ დესეტინა. ეს ციფრები რომ სინამდვილის გამომხატველი იყოს, მაშინ კაცი მაინცა და მაინც ველარ იტყოდა, რომ გლეხობას მეტად მძიმე გადასახადები აწევს კისერზე ან უსწორ-მასწოროდ არის განაწილებული ქიზიყში მიწა-წყალიო. ციფრა 153,331 დესეტინა დიდი ამოცანაა; გამოურკვეველია ის, თუ ნამდვილად რამდენი დესეტინა მამულია გლეხთა სარგებლობაში, და აი რად: გადასახადთა გაწერის დროს სამაზრო კომისია, რომელსაც ხელთ არა ჰქონდა ნამდვილი ცნობები დესეტინათა რაოდენობის შესახებ, იძულებული იყო ეხელმძღვანელა სტატისტიკურის ცნობებით და ამის დაგვარად შეეწერა საზოგადოებათათვის გადასახადი. ამ ცნობებს საფუძვლად უნდა დასდებოდა ციფრები, აღებული სახელმწიფო ქონებათი გამგეობიდან და მიწათ-მზომელ სამმართველოებიდან, მაგრამ ამ ციფრებში გარკვეული და ნამდვილი არა მოიპოვება რა. თუმცა ორიოდე ადგილის შესახებ არსებობს გეგმა (1868 წლისა), მაგრამ ეს გეგმები დაახლოვებითაც-კი ვერა ხსნიან საქმის ვითარებას. რაც შეეხება სამიწათ-მზომელო ცნობებს, ასეთი ცნობები მოიპოვება მხოლოდ იმ მიწა-წყლის შესახებ, რომელსაც ხაზინა ედავება კერძო მემამულეთ.

ზემო ნათქვამის დასამტკიცებლად აღვნიშნავ შემდეგ ფაქტებს: 1905 წელს, გლეხთა საჩივრის გარჩევის დროს, გამოირკვა, რომ საქობოს საზოგადოება 9084 დესეტინაში იხდის 9352 მანეთს და 10 კაპ. გადასახადს, ხოლო სამიწათ-მზომელო პლანით კი 1896 წელს ამ საზოგადოების სარგებლობაში ნაჩვენებია 6466 დესეტინა. მაგრამ ამ უკანასკნელის ციფრის მიღებაც დანამდვილებით შეუძლებელია, რადგან ამგვარისავე პლანით (1904 წლისა) მაშნაარის საზოგადოებას აქვს 640 დესეტინა სახნავი მიწა, ხოლო მიწის მომწეს-რიგებელ დასის ცნობებიდან კი, რომელმაც საზოგადოებაში მუშაობა 1906 წელს გაათავა, სჩანს, რომ საზოგადოებას სახნავი მიწა სულ 78 დესეტინა ჰქონია. ამ უკანასკნელს საზოგადოებას შეწერილი ჰქონდა გარდასახადი 1088 დესეტინა ნაყოფიერ მიწის კვალობაზე; აქედან 60 დესეტინა ნაჩვენებია ვენახად, 550 დესეტინა სახნავად, 60 დესეტინა კარ-მიდამოებად და სხვ. მუშაობის შემდეგ კი აღმოჩნდა: ვენახად—38 დესეტინა, კარ-მიდამოდ—22 დესეტინა, საძოვარი და ჯაგნარი 120 დესეტინა. ხოლო 600 დესეტინაზე მეტი გუბე, ბოროქანი და სხვა, საძოვრადაც კი გამოუსადეგარი. ეს საზოგადოება იხდიდა აქამდე წელიწადში 1695 მან. და 19 კ., ხოლო ამის შემდეგ, მიწის მომწესრიგებელ დასის გამოკვლევისა გამო, შეეწერება 630 მანეთი.

1905 წელს ანაგელთა და ფანიანელთა დავა-საჩივრების გარჩევის დროს ამგვარადვე გამოირკვა სიყალბე ციფრებისა. სოფელი ანაგა, რომელშიაც ირიცხება 740 კომლი, იხდის 6039 დესეტინის გარდასახადს, ხოლო ფანიანი, 2110 კომლი—6500 დესეტინისას. ჯერ ერთი გასაოცარია ასე უთანასწოროდ მიწის განაწილება, მეორე—ნამდვილად ამოდენა მიწა-მამული არცა აქვთ. ანაგის საზოგადოებას აქვს პლანით წინამხარში (სოფლის წინ) და უკანამხარში 3474 დესეტინა და ძველ ანაგას 1500 დესეტინა. რაც შეეხება ფანიანელთ, მართლა რომ ასე იყვნენ უზრუნველ-ყოფილნი მიწით (კომლზე $32^1/_2$ დესეტ.), ისინი არ იგრძნობდნენ მიწის არავითარ ნაკლებულებას, მაგრამ, ნამდვილათ, უმიწობის გამო მეტად შევიწროებულნი არიან. ფანიანელთა სიტყვით, ისინი დღემდე იხდიან იმ მიწის ნაჭერების გარდასახადს, რომელიც დიდი ხანია თურმე მიეზომათ სულ სხვა საზოგადოებებს. ანაგას, ვაქირს და სხვა საზოგადოებათა მცხოვრებნი იხდიან გადასახადებს იმ ტყისა და სახნავისას, რომელიც გადაეცა სატყეო სამმართველოს და სახელმწიფო ქონებათა მეთვალყურეს.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თით

✦ **სროლა თელავის საპყრობილეში.** 14 ღვინობისთვეს გათენებისას თელავის საპყრობილეში პატიმრებმა ჭერი აანგრიეს და სახურავზე ავიდნენ. დარაჯმა ეს ამბავი გაიგო, სროლა ასტეხა და ერთი იქვე მოჰკლა და მეორე მძიმედ დასჭრა. დანარჩენები შეიპყრეს.

✦ **დაპატიმრება.** ქუთაისიდან გვატყობინებენ: პოლიციამ დააპატიმრა ვინმე ტაბატაძე, რომელსაც მონაწილეობა მიუღია ბელაგორთან ფოსტის გაძარცვაში. მისი სიტყვით სროლის დროს ოკლიული არაბიძე მეთაური იყო მძარცველებისა.

✦ **გაძარცვა.** 13 ოქტომბერს დღით 12 საათზედ ლეოპოლდ ნეიშელერის მეარტელეს ვასილ ცვეტკოვს მიჰქონებია ფული რტიშჩევის ქუჩაზე. ცვეტკოვს თავს დაეცა სამი შეიარაღებული კაცი, რომელთაც მეარტელეს წართვეს 1027 მან. 35 კაპ. და მიიმალნენ.

✦ **საავტომობილო მიმოსვლა.** ი. თურქიამ კავკასიის ნამესტნიკს სთხოვა, რომ მას ექვსი წლით მონოპოლიად მიეცეს უფლება საავტომობილო მიმოსვლის გამართვისა ტფილისიდან სიღნაღამდე.

✦ **ილია ჭავჭავაძის ძეგლი.** პარიზის ქართველ სტუდენტებს მოლაპარაკება ჰქონიათ მოქანდაკე ი. ნიკოლაძესთან და მასთან ერთად გამოუანგარიშებიათ, თუ რა დაჯდება ილიას ძეგლის გაკეთება საფლავზე დასადგმელად: საფლავზე დაწოლილი პოეტი საშუალო საუკუნის ძეგლების მაგვარი ბრინჯაოსაგან ან მარმარილოსაგან ეღირება 5000 მან., ჩამჯდარი სავარძელში ბრინჯაოსაგან 3000 მან. ხოლო მარმარილოსი—7000 მ. ბიუსტი-პორტრეტი ბრინჯაოსაგან ეღირება 3000 მან.

✦ **კურსებზე.** უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრ. ბაღი) ამ დღეებში დაიწყება კითხვა ახალ საგნებისა. შაბათს, 20 ღვინობისთვეს, საღამოს 6 საათზე, მ. ი. თამამშოვი წაიკითხავს ლექციას აღმოსავლეთ ქვეყნების სარწმუნოებაზე, ხოლო კვირას, 21 ს ღვინოობისთვეს, დილის 11 საათზე, გ. მ. თუმანიშვილი წაიკითხავს ლექციას მიწის მფლობელობის კანონებზე კავკასიაში.

✦ თელავის მაზრის სთფელ საცხენისის გლეხობას ამას წინად შუამდგომლობა აღუძრავს მისცემოდათ სანადელოდ თავისუფალი სახელმწიფო სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები.

✦ სიღნაღის მაზრის სოფელ ქობადლოს გლეხებს უთხოვიათ ნამესტნიკისთვის, ამავე მაზრაში მიეცეთ სახელმწიფო სახნავ-სათესი და საბალახო მიწები.

✦ 14 ოქტომბერს კვირაცხოვლობის ქუჩის მეორე შესახვევში მცხოვრებ ალექსანდრე სემენოვთან მოვიდა სამი უცნობი, რომელთაც ის კარში გამოიხმეს. სემენოვს სთხოვეს ქუჩაზე გამოსვლა, მაგრამ ის არ დასთანხმდა. ამის შემდეგ ერთმა უცნობმა ძალით მოისურვა მისი ჩათრევა ქუჩაში. ატყდა სროლა. ორი უცნობი მიიმალა, ხოლო მესამე, გვარად ტერ-არუთინოვი ბარძაყში დასჭრა სემენოვმა. დაჭრილი მეტეხის ციხეში გაგზავნეს.

✦ პოლიციის პირველსა და ზოგიერთ სხვა უბნების მცხოვრებლებმა საერთო თხოვნა შეადგინეს ქალაქის გამგეობაში წარსადგენად. მცხოვრებნი ქალაქის თვითმართველობას სთხოვენ მეტი ენერგია გამოიჩინოს ტფილისში პურის საკითხის მოგვარების საქმეში, მცხოვრებნი მეპურეთა მოქმედებას თვითნებობას უწოდებენ, რადგან, მათის აზრით, პური იმდენად არ გაძვირებულა, რომ გირვანქაში 6 კაპ. გადაგვახდევინონ.

✦ მივაქცევთ ქველმოქმედთა ყურადღებას ნატალია ჩხეიძის უკიდურეს გაჭირვებას. მას ჰყავს სამი ყმაწვილი და სთხოვს ყველას, ვისაც გაჭირვებულთა შებრალება შეუძლიან, დახმარება აღმოუჩინონ მას. ადრესი: მე-4 საპოლიციო უბანი, შინდისის ქუჩა, № 9.

—

**შეცდომის გასწორება.** ილიას ფონდისთვის გამოგზავნილია ფული შემდეგ პირებისაგან: „ლევან ჩადუნელისაგან, ლექსო და შაქარა სტეფნაძეებისაგან და მიტრო გოგალაძისაგან, № 225 ში კი შეცდომით არიან ჩაწერილები: **ივან ჩალ სოსო და შ. სტელ და მიტრო გალაძე**

# პრესსა

—:—

მესამე სათათბირო, ეჭვი აღარაა, ისეთი ოპოზიციონური არ იქნება, როგორც პირველი და მეორე იყო; მთავრობა და რეაქციონური წრეები ცოტად თუ ბევრად საწადელს ისრულებენ: ზომიერ სათათბიროს მიიღებენ. მოსალოდნელი იყო, რომ რეაქციონერები კმაყოფილი დარჩებოდნენ ასეთის შედეგით, მაგრამ ნამდვილად სხვას ვამჩნევთ: ზოგიერთ რეაქციონულს წრეებში უფრო სასოწარკვეთილი ფიქრი ტრიალებს, ვიდრე იმედი და სიხარული. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ „ს.-პეტერბ. ვედომ-“ში:

მთავრობა ვერაგზით ვერ გაიმარჯვებს. საზოგადოება ზურგს შეაქცევს მემარჯვენე სათათბიროს ისე როგორც ერობათა წარმომადგენლების კრებას შეაქცია ზურგი ამას წინად. საზოგადოება იტყვის: ეს ჩვენი პარლამენტი არ არის, ეს სათათბირო ხალხის ნების გამომთქმელი არაა. დამშვიდების მაგიერ საშიში შდგ ომარეობა გაჩნდება. პარლამენტს ყოველივე გავლენა დაეკარგება, რადგან ხალხი იტყვის, რომ იგი მხოლოდ იარაღია მთავრობის ხელში, რომ დეპუტატები ხალხის წარმომადგენლნი კი არ არიან, არამედ ბიუროკრატიის მსახურნიო. განხეთქილება მთავრობის და ხალხის შორის გაძლიერდება და უკმაყოფილო ელემენტები, რომელიც ყოველთვის ბევრია რუსეთში, იტყვიან, რომ მშვიდობიანის გზით არაფერი გაკეთდება რუსეთში და ისევ ახალი რევოლიცია იფეთქებს. ახლანდელ სიწყნარეს არ უნდა დავენდოთ.

როგორც ხედავთ, გამარჯვებულის კილოთი არაა დაწერილი ეს სტრიქონები; პირიქით, რეაქციონური გაზეთი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი და წმინდა წყლის ოპოზიციონერების ენით ალაპარაკებულა. „რას ნიშნავს ეს სიზმარი“?

*
* *

სამაგიეროდ, ბევრი ოპოზიციონერი სულ სხვა კილოზე იწყებს ლაპარაკს. „სლოვ. მის“-ლში ბ-ნი პრიტიკინი კიდეც მარხავს რევოლუციას ამ სიტყვებით:

გულწრფელნი ვიყოთ ისტორიის წინაშე და უკუვაგდოთ ილლუზიები, ნუღარ ვყოფთ უარს იმას, რაც ცხადზედ უცხადესია, ვირწმუნოთ რუსეთის რევოლიუციის სიკვდილი... ვაღიაროთ, რომ ჩვენ მზად არ ვყოფილვართ რევოლიუციისთვის, როგორც ბიუროკატია არ იყო მზად რუსეთ-იაპონიის ომისათვის...

მართალი უნდა ვთქვათ, რომ უხტომსკის გაზეთი უფრო მეტ პოლიტიკურ სიბრძნეს იჩენს ზემოდ მოყვანილს სიტყვებში რევოლუციის შესახებ, ვიდრე რადიკალების გაზეთი.

## ფოსტის გაძარცვა სად. ბელაგორში

**კორესპონდენცია ბათუმიდან.**

14 ოქტომბერს მოიტანეს ბათუმში გაძარცული ფოსტა. ფოსტას მე-8 განყოფილების უფროსი ბ. ივანოვი მოჰყვა. უქვსი ტყავის პარკი, რომელთაგან ორი ფოთში წასადები იყო, ერთი ყვირილაში, ერთი ახალ სენაკში, ერთი ქუთაისში და ერთიც ბათუმში—ეს პარკები სულ დაქუცმაცებულ დაჭრილია ხანჯლით. მათში ყოფილა ფოთში ათი ათასი მან. (ვერცხლით), გარდა ქუთაისის პარკისა, რომელშიაც 27 ათასი (ქაღალდით) მან. ყოფილა. ამ პარკების გარდა ორი პატარა პარკიც ყოფილა მთლიანი, ერთი ბათუმში, მეორე ჩოხატაურში. ეს ორი პარკი ფოსტის მოხელეს ბოჩარნიკოვს დიდრონ ამანათების ქვეშ ამოუდვია. ბოროტ გამზრახველებს ესენი ვერ შეუმჩნევიათ. ამ ერთ პირთაგანში კი სახელდობრ—ბათუმისაში ყოფილა ასი ათასი ქაღალდის ნაღდი ფული, რომელიც დღეს მოიტანეს ბათუმში მთლად. მეორე—ჩოხატაურის პარკში კი მარტო უბრალო უფულო კორესპონდენცია აღმოჩნდა. ეს ასი ათასი მანეთი შეკვრილია მაგარ ტილოში. ეტყობათ, ავაზაკებს ეს წინათ სცოდნიათ და სახეში ჰქონიათ მისი მოტაცება. ეს მოსაზრება აი რით აიხსნება: ფოსტის გაძარცვის დროს, სადაც კი ტილოში შეხვეული ამანათი უნახავთ, ყველასთვის უხსნდეტიათ, მაგრამ მათდა საუბედუროთ ამ ამანათებში სულ სხვა ნივთები აღმოჩენილა.

სულ წაღებულია ორმოცდა-თერთმეტი ათასი (51) მანეთი, აქედან ორმოც ათასამდე ფულით, ხოლო დანარჩენი ფასიანი ქაღალდები აღმოჩნდა.

თვით დაცემის ამბავს ასე გვიამბობს ბოჩარნიკოვი: როცა გავცილდით სადგურს ბელაგორს, „შლატფორმა“ „ლამეხედ“ ნახევარ წამი ჩვეულებისამებრ შეჩერებულა მატარებელი. ამ დროს იქავე ახლო საფარ გორაკიდან ოციოდე კაცს დაუშენიათ თოფები იმ ვაგონისათვის, სადაც დარაჯებად ყოფილა 4 კაცი. მცველები დაუჭრიათ გარდა ამისა ვაგონში მოუკლავთ კონდუქტორი და ერთი მგზავრი დაუჭრიათ. შემდეგ, რაკი მატარებლის მხრით მოწინააღმდეგე აღარავინ ყოფილა, სამი ავაზაკი მიუახლოვდა თურმე ფოსტის ვაგონს ყუმბარებით და დაუყვირეს ფოსტის მოხელეს: „გაგვიღე კარები, თორემ მთლად აგაფეთქებთო“, მოხელესაც დაუყოვნებლივ გაუღია კარები და ისინიც შესდგომიან საქმეს.

ფოსტის მოხელისათვის ხელი არ უხლიათ, პირიქით, კიდევაც უხუმრიათ: „აბა, ერთი მოგვეხმარე, შენ უფრო მალე გვიპოვნიო“. მოხელეს უარი უთქვამს. ავაზაკები რუსულად მშვენივრად ლაპარაკობდნენ. მეორე დღეს „სტრაჟნიკებს“ იმ გორაკის მახლობლად უნახავთ ორი კაცი, რომელთაგან ერთი მოუკლავთ, მეორე დაუჭერიათ.—

**ფრ. ინასარიძე**

—

ტფილისში მოსულ ცნობებით მძარცველებს ერთ პარკიდან წაუღიათ 53,928 მ. 51 კ., დანარჩენ პარკებიდანაც წაუღიათ, მაგრამ ჯერ არ ვიცით რამდენი. იმ დღეს მატარებლით მიჰქონდათ სულ 291,511 მ. და 65 კ. სროლის დროს მოუკლავთ ორი მცარცველი. შორაპნის მაზრის სოფელ საქარის მცხოვრები ნესტორ არაბიძე და კუდაშელი აზნაური გიორგი კანდელაკი.

## ა. მ. ჭყონიას დასაფლავება

—

12 ოქტომბერს კუკიის სასაფლაოზედ დაკრძალეს გვამი პატივცემულ ალ. მირიანის ძის ჭყონიასი.

დილის 9 საათზედ მრავალი ხალხი შეიკრიბა განსვენებულის სახლში ნიკოლოზის ქუჩაზედ, საიდანაც ხელით გამოიტანეს უბრალო სადა კუბო, მორთული მხოლოდ ცოცხალ ყვავილებით—ქვაშვეთის ეკლესიაში. ცუდის ამინდის მიუხედავად დიდძალი ხალხი მიჰყვებოდა კუბოს. ეკლესიაში პანაშვიდის წინად მამა თალაქვაძემ წარმოთქვა გრძნობით და სიმართლით სავსე სიტყვა, რომლშიაც მშვენივრად დახატათა ალექსანდრე ჭყონია, როგორც საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი. [illegible] ქვაშვეთის ეკლესიის [illegible] ნებულის ამხანაგმა [illegible] ვა მსმენელები თავისი გრძნობიერის სიტყვით ალ. ჭყონიას მიმართ. ტფილისელ ნაფიც ვექილთა უხუცესს წარმომადგენლმა ბ. შევალიემაც დიდად შექო განსვენებული, როგორც დაუღალავი მუშაკი, მცოდნე იურისტი, შესანიშნავი მორალურ სიფაქიზის პატრონი კაცი, და აგრეთვე გამოაცხადა ნაფიც კომისიის ვექილთა დადგენილება,—დაჰკიდონ ამ კომისიის დარბაზში განსვენებულის სურათი, რათა ახალგაზრდა ვექილთ მუდამ სახსოვრად და სამაგალითოდ ჩაუნერგონ ამ კაცის უებარი გულის თვისებები—გულწრფელობა, მიუდგომლობა-სიფაქიზე, პატიოსნებას და კეთილსინდისიერება ყოველ საქმეში.

ამის შემდეგ კუბო ისევ ხელით წაასვენეს კუკიის სასაფლაოზედ, სადაც მრავალ ხალხის თანადასწრებით დაკრძალეს. არც ერთი გვირგვინი, განსვენებულის სურვილისამებრ. სადა, მეტად უბრალო იყო მთელი ცერემონია, მაგრამ გრძნობით აღსავსე, რადგან ვინც იქ იყო, ყველანი მხოლოდ ერთის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი ამ დაუღალავ მუშაკის მიმართ—უზომო პატივისცემით დამწუხარებით ასეთის დიდის დანაკარგის გამო. მართლაც, როგორც მშვენივრად გამოხატა მამა თალაქვაძემ, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის მეტად სამძიმოა ისეთის ადამიანის და საზოგადო მოღვაწის დაკარგვა, როგორიც იყო ალექსანდრე ჭყონია. მხნე მუშაკი, ის ორ ათეულ წელიწადზე მეტი ემსახურებოდა ქართველ ერს, როგორც მცოდნე სამშობლო ისტორიისა და ლიტერატურისა, როგორც გულწრფელი პროგრესსიულ აზრების მატარებელი პუბლიცისტი და ლიტერატორი, სადარი გულითადი, ბეჯითი და მუყაითი საზოგადოების მოღვაწე. ქართველი საზოგადოება კარგათ იცნობს ალექ. ჭყონიას, როგორც ჟურნალ „მოამბის“ რედაქტორს, და კარგათაც იცის აგრეთვე ის, რომ ამ ადამიანმა ბევრი შრომა და დრო შესწირა პრესსის ამ ორგანოებს აგრეთვე მუყაითად ეკიდებოდა ის ყოველივე საზოგადო საქმეს, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებდა, თავის ჯანს არას დროს არ ზოგავდა, თუმცა დიდი ხანია გულის საშიშარი ავადმყოფობა სჭირდა. დიდი ამაგი დასდო განსვენებულმა ალექსანდრემ თავის სამშობლო ქვეყანას და საუკუნო ხსენება ამ პატიოსან მუშაკის აწმყო და მომავალ თაობათა ხსოვნაში!

**ნ. ფ.**

---

ქმის ყველა სოფელი ქიზიყში დავაშია მიწებისა გამო. ედავებიან ერთმანეთს. იქ კი, სადაც მაწებით სარგებლობს რამდენიმე საზოგადოება ერთად, ყოველ შემოდგომა-გაზაფხულზედ აუცილებელია შეტაკება. ორ დიდს საზოგადოებას—ზემო და ქვემო მაჩხაანს აქვს საერთო მიწები და მათი დავა-საჩივრები დაუსრულებელია. სოფლებს მირზაანს, აბოშიკს და წლუნაანს აქვთ საერთო მიწები. ორი პირველი არა ჰგრძნობს მიწის ნაკლებობას, მაგრამ უკანასკნელი, რომელშიაც 83 კომლი ირიცხება, თუმცა იხდის 2379 დესეტინასთვის 2572 მანეთს, მაგრამ ძლივს სარგებლობს 600 დესეტინით. ამგვარსავე ყოფა-მდგომარეობაში არიან ჯუგანის, ხირსის, საქობოს და ასანურის საზოგადოებანი. არის ერთი ადგილი „ძველანაგა“. ამ ადგილის მიწების გამო თითქმის ყველა სოფლები ედავებიან ერთმანეთს; ყოველ-წლივ საჭიროა ხოლმე მათი მორიგება და დამშვიდება. ამ დღეებში ანაგელთ განაცხადეს, რომ ჩვენი საძოვარი ადგილები მიითვისეს ფანიანელთა, ტიბანელთ და ქედელელთაო. უკანასკნელთ უარ-ჰყვეს ყველა ეს და თავის მხრით იჩივლეს ჯუგაანელებზედ, ხოლო ამათ იჩივლეს ოზანელებზედ და სხვა. 1905 წელს იმდენად გამწვავდა მიწების გამო საქმე რამდენსამე საზოგადოების მცხოვრებთა შორის, რომ მათ დასამშვიდებლად ჯარიც-კი მოიწვიეს.

მერე, არ იკითხავთ, რა ძვირად უჯდებათ სოფლებს ეს ამოდენა დავა-საჩივარი: 1905 წელს ანაგელთ ჩაიბარეს 24 დესეტინა მიწა, რომელსაც ედავებოდნენ მათ ფანიანელნი. ამ მიწის ნაჭერის გამო ერთი მოთავეთაგანი მოჰკლეს, ოთხი დასჭრეს, რამდენიმე დააპატიმრეს და სამართალში მისცეს, ხოლო ფულად დაიხარჯა და შეიჭამა 1500 მანეთზე მეტი.

ოდესღაც საკმაოდ შეძლებული და მასაზრდოვებელი მთელის კახეთისა და სხვა მეზობელ მაზრებისა ქიზიყი დღეს თითონ არის გაჭირვებული. მიწა-წყლის მოუწესრიგებლობა და მეტად სამძიმო სახელმწიფო გადასახადები დღითი-დღე ასუსტებს და ათახსირებს ეკონომიურად გლეხობას. ყოველ-წლიური დიდი გადასახადი აიძულებს მცხოვრებთ ყიდონ საქონელი, რის გამოც 1900 წლიდან დაწყებული ადგილობრივი ცხვარი და ძროხა ორიმეხუთედით შემცირდა. 1880 წელს გამოკვლეულ იქმნა ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა. აღწერისამებრ თავად ა. მ. არღუთინსკისა, საშუალო კატეგორიის გლეხს, მოწყობილს სამუშაო საქონლითა, ჰქონდა წლიური წმინდა შემოსავალი 241 მან. 40 კ. ეხლა-კი ამგვარსავე კომლსჰყავს მხოლოდ სამუშაო საქონელი და იგი ძლივს აკმაყოფილებს საკუთარ მეურნეობას. ბევრია უსაქონლო გლეხი, რომელნიც მომეტებულად დღიურის მაშაობით სცხოვრობენ.

საჭიროდ ვრაცხ მივაქციო მკითხველის ყურადღება იმასაც, თუ საზოგადოდ როგორ სარგებლობენ აქ მიწებით. სწორედ რომ ვთქვათ, საერთო სათემო მიწათ-სარგებლობა აქ არ არსებობს. ყოველ სოფელში, გარდა სათემოდ სახმარებელ მიწებისა, არის კიდევ დიდის ხნიდან დაჩემებული მიწები, რომელიც მემკვიდრეობით გადადის კერძო პირთა, უმეტეს ნაწილად შეძლებულთა მფლობელობა-სარგებლობაში. ამ გვარ კატეგორიის მიწა საკმაოდ ბევრია. როგორც ზევითაცაა მოხსენებული, აქ მიწები დანაწილებულია მეტად ვიწრო და მოგრძო ნაჭრებად ოცის ვერსის და მეტის სიშორეზედ. ყოველ ოჯახისთვის და მით უფრო უსაქონლო ადამიანისათვის ეს სიშორე სახნავ-სათიბისა მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხია.

მიწის საერთო სარგებლობისათვის არსებობს ორგვარი წეს-ჩვეულება: დაჩემება-მითვისება და ხელახლად დაყოფვა. ეს უკანასკნელი წესი ეხლა თითქმის ყოველ სოფელშია მიღებული, მაგრამ მოიპოვება კიდევ ისეთი ადგილები, სადაც დაჩემება-მითვისების ფორმა ჯერ არ გადავარდნილა. ამგვარი ფორმა მდგომარეობს გაქცევა-თარეშში. დანიშნულს დღეს დასახელებულს ადგილას იკრიბებიან ვლეხნი, ცხენოსანნი და ქვევითნი. მწკრივდებიან რიგზედ, ისე კი, რომ ქვეითნი უფრო წინა დგებიან. მიცემულ ნიშანზე ყველანი გარბიან გასაყოფ ადგილისაკენ. მთელი ხერხი და ცოდნა იმაშია, თუ ვინ მოასწრებს და დაიჩემებს საუკეთესო ადგილს. რაც შეეხება მიწების ხელახლა დაყოფას, ამ საქმეს ყველგან მოსდევს უთანხმოება და ბრძოლა შეუძლებელ გლეხთა შეძლებულებთან. პირველნი, რიცხვმრავალნი, ითხოვენ სამართლიან დაყოფის წეს-ჩვეულების დაკანონებას, ხოლო მეორენი, უმცირესნი, მათ ეწინააღმდეგებიან. შეუძლებელნი ითხოვენ იმ მიწების დაყოფასაც, რომელიც შეძლებულთა სარგებლობაში არიან მემკვიდრეობით. აი, სწორედ ამისთვის ეწინააღმდეგებიან მათ შეძლებული გლეხნი, რადგან მათთვის, როგორც უფრო ძლიერთათვის, დაჩემება—მითვისების წესრიგი უფრო სასარგებლო და ხელსაყრელია.

ზემოდ ჩამოთვლილს გარდა ბევრი სხვა რამეც არის, რაც შესამჩნევად აფერხებს გლეხთა კეთილ-დღეობას. ასეთია, მაგალითად, დავა-საჩივრები ხაზინისა მიწის კერძო მფლობელებთან. თითქმის ყოველ სოფელში სცხოვრობენ კერძო პირნი (აზნაურნი, სამღვდელოება), რომელნიც დაობენ რამდენსამე ათასს დესეტინა მიწაზე. არიან კერძო მემამულენი, რომელნიც გადასახადს 15—30 დესეტინისას იხდიან, ხაზინას ედავებიან ათასობით დესეტინებზე, სარგებლობენ ამ მიწებით, ხოლო გარდასახადებს გლეხთა საზოგადოებანი იხდიან. მირზაანსა და ხირსაში არიან კერძო მემამულენი, რომელთაც ჰყავთ ათასობით ცხვარი და ასობით ძროხა, ხვნა-თესვა აქვთ მეტად გაჩაღებული, მაგრამ გადასახადს კი მხოლოდ 30 დესეტინისას იხდიან. რა თქმა უნდა, დანარჩენი გადასახადი კისერზე აწვება სოფლის საზოგადოებას, ანუ, უკედ რომ ვთქვათ, ღარიბ-ღატაკ გლეხობას. მესაკუთრეთა გარდა, ყოველ სოფელში სცხოვრობენ უცხო პირნიც, მოსულნი სხვა კუთხეებიდან. ესენიც საზოგადო მამულზე სცხოვრობენ, მაგრამ გადასახადის-კი არ აძლევენ.

არა თუ პირველად მნახველნი ქიზიყისა, არამედ ისინიც-კი, რომელთაც დიდხანს უმსახურნიათ სიღნაღის მაზრაში და უცხოვრიათ, აქედან მიდიან იმ შთაბეჭდილებით და რწმენით, რომ ქიზიყი უზრუნველ-ყოფილია, მდიდარიაო. ქვემო-მაჩხაანის ბაზარი, ქიზიყის ეს შუაგული, თავის სივრცით და ქვითკირის შენობებით ყველას ყურადღებას იქცევს, მაგრამ ამით არ გაიზომება გლეხთა კეთილდღეობა. ორმოცი ათასს მცხოვრებს, შრომის-მოყვარეობითა და მხნეობით ცნობილ გლეხობას, ამაზე დიდი ვაჭრობა და ალებმიცემობა უნდა ჰქონდეს. კვლავ უნდა განვიმეორო, რომ ქიზიყში, როგორც ყველგან სხვაგან, ხელ-მოკლე ხალხი უმრავლესობას შეადგენს. შეძლებულებად ირიცხება 8%, დანარჩენნი ეკუთნიან საშუალო შეძლებულთ. ეს 8% მომეტებულად მოვაჭრენი, მცხოვრებნი გლეხთა ოფლითა და შრომით, ხშირად უმობენ ხოლმე ახლად მისულთ ადგილობრივ გლეხთა კეთილ-დღეობაზე. ისინი ყოველ წლივ საზოგადოებას შეწერვით აძლევენ 300—400 მანეთ გადასახადს, სცხოვრებენ-კი როგორც დიდი მემამულენი.

აი, ამ გარემოებებმა აიძულეს საქმეში ჩახედული პირნი, არა თუ ეთხოვნათ, არამედ მოეთხოვნათ მიწების მოწესრიგება ქიზიყის გლეხთა შორის.

მათ მოითხოვეს: 1. სამართლიანად გადასახადის შეწერისათვის ცნობაში მოყვანა გლეხთა სარგებლობაში მყოფ მიწების რაოდენობისა კატეგორიებად, რათა კარგი და ნაყოფიერი მიწები აანსაზღვრულ იქმნას უნაყოფო უვარგისისაგან. 2. საერთო ხმარებაში მყოფი მიწები გაყოფილ იქმნას სოფლებს შორის და აღნიშნულ იქმნას სრულის სიმართლით მათი საზღვარ-მიჯნები; 3. შეათანხმონ სხვა და სხვა სოფლები იქ, სადაც დავა-საჩივარი აქვთ და თანხმობითის დათმობა-შეცვლით მოსპონ სამუდამოდ მიწის ნაჭრების ერთი მეორეზედ გადატან-გადაჩხიბვა და ყველა სხვა ამ გვარი უხერხულობა; 4. დავა-საჩივრები ხაზინისა კერძო მემამულეებთან უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზია მიწის მოწესრიგებისა ზოგიერთ ადგილებში ამ გვარი დავა-საჩივრები უკვე დაბოლოვდა, ხოლო იქ, სადაც მათ გათავებას დასასრული არ უჩანს, მოსაზრებულია დაწესება ადგილობრივ განსაკუთრებულ კომისიისა, სურვილისამებრ დაინტერესებულ მხარეთა. ამის შესახებ უკვე აღძრულია შეაფერი შუამდგომლობა.

სოფლებს შორის სამართლიანად მიწების განაწილება და მათის ნაყოფიერების და უნაყოფობის ცნობაში მოყვანა შეადგენს უმთავრეს მიზანს მიწის მომწესრიგებელ დასის მუშაობისას. მიწების მოწესრიგების საქმე ქიზიყში სურვილის გარდა მოითხოვს დიდ შრომას, გულმოდგინებას და გამოცდილებას. ამიტომ ყველა, ვისაც სურს დაიცვას ღარიბ გლეხთა ინტერესები, მოვალეა დაეხმაროს ამ საქმეს თავის მონაწილეობით, ცოდნით და რჩევა-დარიგებით.

**ალ. ჯორჯაძე.**

# რუსეთი

—:—

✦ **ჯარიმა**. „სიბ, ვრ. ვედ.“-ში დაბეჭდილი იყო შემდეგი შენიშვნა: „ყოველ დროს თავისი გმირი ჰყავს. ჩვენდა სამარცხვინოდ, რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის შავრაზმულმა ტალღამ ნაპირზე გამოიტანა საზიზღარი ექიმი დუბროვინი, რომელიც ბელადია ჭეშმარიტ რუსთა კავშირისა.“ ირკუტსკის გ.-გუბერნატორმა ამ შენიშვნის გამო ზემოხსენებულ გაზეთის სამი თანამშრომელი 1000 მანეთით დააჯარიმა „მთავრობის ლანძღვისთვის.“ საინტერესო ის არის, რომ დუბროვინი კერძო ექიმია და მთავრობასთან მხოლოდ ის დამოკიდებულება აქვს, რომ მის მფარველობის ქვეშ განისვენებს.

✦ **მოსამართლის გადაყენება**. პეტერბურგის მომრიგებელი მოსამართლე სრედობოლისკი მთავრობის განკარგულებით სამსახურიდან გამოვიდა. მიზეზი ის იყო, რომ მან კანონიერად გაანთავისუფლა ერთი პატიმარი, რომელიც გრადონაჩალნიკის ბრძანებით დაატუსაღეს.

სენატმა სამსახურიდან დაითხოვა ელეცის სამოსამართლო სასამართლოს წევრი ვრანგელი. მიზეზი ის არის, რომ ვრანგელი „კადეტთა“ პარტიის წევრი იყო.

✦ **ბეჭდვითი სიტყვა**. ადმინისტრაციამ დააპატიმრა „რუსკოე ბოგატსტვოს“ უკანასკნელი ნომერი და მისი რედაქტორ-გამომცემელი ცნობილი მწერალი კოროლენკო სამართალში მისცა.

„ჟურნალ“-ის რედაქტორი დაჯარიმებულ იქმნა 500 მანეთით იმის გამო, რომ ეს ჟურნალი გამოსცეს „ზრიტელის“ მაგიერად.

✦ **ისევ პლეხანოვის გაკიცხვა**. როგორც ვიცით, ს. დ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცალკე ფურცლები დაბეჭდა, სადაც ს. დ.-ის ბელადს პლეხანოვს გაკიცხვა ჰქონდა გამოცხადებული. ამის გამო პეტერბურგის კომიტეტსაც ჰქონია მსჯელობა და დასთანხმებია ცენტრალურ კომიტეტის ფურცელს. რეზოლიუცია ამ საქმის შესახებ პეტერბურგის კომიტეტისა ასე თავდება: „რუს. სოც. დემ. პარტიის პეტერბურგის კომიტეტი სავსებით ეთანხმება ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებას დ. გ. პლეხანოვს სთხოვს წესიერება დაიცვას. პლეხანოვი გადაიქცა ბურჟუაზიულ გაზეთის მუდმივ თანამშრომლად და ამ გაზეთის საშუალებით მოუწოდებს პატიულ წესიერების დასარღვევად. პლეხანოვი ასეთ საქციელის გამო ღირსია პარტიის წევრთა მხრივ მედგარ გაკიცხვისა“.

✦ **ონიპკოს გაქცევა**. ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ ციმბირში გაგზავნილი პირველ სათათბიროს წევრი ს. რევ. ონიპკო გზიდან გამოიქცაო. ეს ამბავი მართალი ყოფილა. ონიპკოს გაქცევა ადგილობრივმა მთავრობამ ორი კვირის შემდეგ შეიტყო.

✦ **გადასახლება ციმბირში**. წრეულ, რვა თვის განმავლობაში შუა რუსეთიდან ციმბირში გადასახლებულა 550,000 სული. თუ როგორ იმატა გადასახლებამ: იქიდან სჩანს, რომ 1897 წლიდან 1907 წლამდე, ე. ი. 10 წლის განმავლობაში ციმბირში გადასახლდა 1,348,000 სული.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რუსეთში.**

**13 ოქტომბერი**

**კელცი**. სლავკოვოში დაეცნენ მატარებელს, რომლითაც მეარტელე მიდიოდა. სადგური აკლებულია, კასირი დაჭრილია. ბოროტ-გამზრახველებმა მოხსნეს ორთქლმავალი და ტრუემეშჩიცისაკენ გაემართენ. გაჰყუდგა მაზრის უფროსი ჯარით.

**გროდნა**. პრუჟანის მაზრის სოფ. შენაში მოჰკლეს საგლეხო სასამართლოს თავმჯდომარე. მკვლელი, მებრძოლ რაზმის წევრი, მიიმალა.

**კიშინიოვი**. საგანგებო საერობო კრებამ 50,000 მანეთი გადასდო ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ჩერნიგოვი**. მაზრებში ხოლერით ავად გახდა 7, გარდაიცვალა 6.

**კიევი**. ქალაქში ავად გახდა 35, გარდაიცვალა 18, მორჩა 38. გუბერნიაში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 5.

**კურსკი**. სუჯენის მაზრაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 3.

**ლებედინი**. დაბა ბეშენკოვიჩში ექიმი მიიწვიეს ავადმყოფთან და გზაზე მოჰკლეს. ავადმყოფის შვილი დააპატიმრეს.

**ლოძი**. საოლქო სასამართლომ 8 წლით კატორგა მიუსაჯა ერთს მუშას, რომელმაც 7 ოქტომბერს პარტიულ ნიადაგზე მოჰკლა მეორე მუშა.

**კალუგა**. შეიპყრეს 8 კაცი, იმათ რიცხვში საერობო და საქალაქო საკრებულოს კანცელარიაში მოსამსახურე, რომელსაც უნახეს პროკლამაციები ს.-დემოკრატებისა ახალ გაწვეულ ჯარის-კაცთადმი, სტამბის კასა, ბევრი პატრონა და რევოლვერი.

**ოდესა**. გაჩხრიკეს მკერავ-მექუდეთა პროფესიონალურ კავშირის სადგომი, დააპატიმრეს 12 კაცი.

**ხიმფეროპოლი**. სამართალში მისცეს პერეკოპის საპატიმროს მეთვალყურედ ნამყოფი, რომელმაც ტუსაღს ესროლა და დასჭრა და ტუსაღი ამ ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

**უფა**. 12 ოქტომბერს ვიღაც უცნობმა ქალმა და კაცმა ბელიავსკის სახლში ოთახი დაიჭირა. თან პატარა ყუთი მოიტანეს. საღამოზე, როცა ისინი სადღაც წავიდნენ, ოთახში აფეთქება მოხდა. მოვიდა პოლიცმეისტერი პოლიციელებით და ნახა იატაკზე მიმაგრებული, ზონარებით შეკრული ყუთი; ზონარების ბოლო შეერთებული იყო ყუთს შიგნით მოთავსებულ გატენილ ყუმბარასთან. ყუმბარაში იყო 6 გირვანქა ასაფეთქებელი ვერცხლის წყალი. ფიქრობენ, რომ პირველი ყუმბარა განზრახაა აფეთქებული ყურადღების მისაპყრობად. მეორე რომ აფეთქებულიყო, იქაურობა სულ დაანგრევდაო.

**ფეოდოსია**. ერთ-ერთ სახლის სარდაფში აღმოაჩინეს ორი ყუმბარა, დააპატიმრეს 7 კაცი.

**ტომსკი**. დააპატიმრეს ექიმი ბარაბაშნიკოვი. იმას აბრალებენ 28 აგვისტოს ტომსკის რკინის გზის მტოზე თავდასხმაში პასიურ მონაწილეობის მიღებას.

**პეტერბურგი**. ამურისა და უსურისკის კაზაკთაგან და ამურისა და პრიგორსკი ოლქებში სახ. სათ. წევრის არჩევანი უნდა მოხდეს 25 ოქტომბერს.

**15 ოქტომბერი**

**პოლტავა**. საგლეხო ბანკის პოლტავის განყოფილებამ მირგოროდის მაზრაში შეიძინა 9 მამული ზომით 3982 დესეტინაზე მეტი და დასანაწილებლად მიწის მომწესრიგებელ კომისიას გადასცა.

**დონის-როსტოვი**. საგრადონაჩალნიკოში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**. ქალაქში ავად არავინ არ გამხდარა, მაზრებში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1.

**ომსკი**. ქალაქში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 3.

**ეკატერინოსლავი**. ქალაქში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2.

**ჩერნიგოვი**. სტაროდუბში მოკლულის ბოქაულის ტხორჟევსკის მოკვლის თაობაზე სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა ერთს სიკვდილით დასჯა, ორს უვადო კატორგა, ერთს ქალიშვილს (გიმნაზიაში მოსწავლედ ნამყოფს) 20 წლით კატორგა და ერთს კაცს 10 წლით კატორგა.

**ხერსონი**. ელისავეტგრადის მაზრაში ხოლერით გარდაიცვალა ერთი კაცი.

**ტომსკი**. ბარნაულის მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3, ნოვო-ნიკოლაევსკში ავად გახდა და გარდაიცვალა 4. ტომსკში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1.

**სამარა**. ქალაქში ავად გახდა 1. მაზრებში სენის თავის ჩენიდან ავად გახდა 566, გარდაიცვალა 330.

**სიმბირსკი**. ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1.

**ჩერნიგოვი**. გუბერნიაში სენის თავის ჩენიდან ავად გახდა 58, გარდაიცვალა 26.

**კელცი**. სად. სლავკოვში მატარებელზე თავდასხმა დაწვრილებით: 12 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე რაზიეზდ სლავკოვოში მოსულ მატარებლის ერთ-ერთ ვაგონ ქვეშ ყუმბარა შეაგდეს. ვაგონში იჯდა მეარტელე (მუშებისთვის დასარიგებელი ჯამაგირი მიჰქონდა), და ოთხი ჯარის კაცი. ვაგონს გარედაც დარაჯად ორი ჯარის კაცი იდგა. ბოროტ გამზრახველებმა (ოცამდე კაცი) ყუმბარის გადაგდების შემდეგ, მაუზერების სროლა ასტეხეს, მეარტელე და ერთი ჯარის კაცი მძიმედ დასჭრეს. დანარჩენი ჯარის კაცები სროლამ გამოაყრუა და გარედ გამოცვივდნენ. მოიტაცეს 14,000 მანეთი, გააფუჭეს ტელეგრაფის და ტელეფონის მავთულები, ორთქლმავალი მოხსნეს და შტრუემეშჩიცისაკენ გაემართნენ. ორთქლმავალი გზაზე დააგდეს და მიიმალნენ.

**კიევი**. 13 ოქტომბერს კიევში ხოლერით ავად გახდა 32 კაცი, გარდაიცვალა 7. გუბერნიაში ავად გახდა და გარდაიცვალა 7.

**სევასტოპოლი**. იწვის სახალხო სახლი. ცეცხლი პირველად მაშინის განყოფილებაში გაჩნდა.

**ლიუბლინი**. 13 ოქტომბერს საღამოთი ზამკოვოი ქუჩაზე მოჰკლეს საპატიმროს მეთვალყურე.

**მოგილიოვი**. 11 ოქტომბერს გომელში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი.

**ტომსკი**. ნოვო-ნიკოლაევსკში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1.

**ეკატერინოსლავი**. ქალაქში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 4. ბარაკში წევს 34 ავადმყოფი.

**კურსკი**. სუჯანის მაზრაში 14 ავადმყოფია; 12 ოქტომბერს გარდაიცვალა 2 კაცი.

**ჩერნიგოვი**. ოსტრაში შეიპყრეს ცეცხლის წამკიდებელთა მთელი ბრბო.

**არჩევნები.**

**პეტერბურგი**. კავკასიაში 14 ოქტომბრამდე აურჩევია 539 ამომრჩეველი, იმათგან 2 ოქტომბრისტი, 18 კადეტი; 62 ს.-დემოკრატი, 1 ს.-რევოლიუციონერი, 10 დაშნაკცაკანი, 29 თავის თავის მონარქისტების მომხრედ მაღიარებელი, 24 მემარჯვენე, 18 ზომიერი, 1 ლიბერალი, 286 უპარტიო, 50 მემარცხენე, 34 პროგრესისტი, 3 უკიდურესი მემარცხენე, 1 უცნობი.

**უცხოეთში.**

**14 ოქტომბერი.**

**პარიში**. დეპუტატთა პალატამ ერთ ხმად გადასდო 6 მილიონი ფრანკი წყალდიდობისა გამო დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**რომი**. მეფემ 100,000 ლირა შესწირა კალაბრიაში მიწისძვრისაგან დაზარალებულთ. ამბობენ, რომ იქ მოკლულა 300 კაცი, ხოლო დაჭრილი 1000-მდე იქნებაო.

**ლონდონი**. გაზეთების ცნობით, 11 ოქტომბერს „მულეი გაფიდი დაეცა მაგადორს. სამხედრო გემებმა სროლა ასტეხეს და თავდამსხმელთ დიდი ზარალი მიაყენეს. გემ „არტუა“-დან საჩქაროდ ათასი კაცი გადასხეს აბდულ-აზიზის კარისა და ადგილობრივ გარნიზონს შეუერთეს.

**ნიუ-იორკი**. 12 ოქტომბერს ფულის შემნახველნი ბანკებიდან დაჟინებით თხოულობდნენ თანხის უკანვე დაბრუნებას. ორმა ბანკმა ფულის გაცემა მოსპო. ერთს 300,000 დოლარი თანხა ჰქონდა და 4,200,000 მიბარებული ფული; მეორეს 700,000 და $7^1/_2$ მილიონი დოლარი მიბარებული. დიდ-დიდ „ტრესტ კომპანისის“ წარმომადგენლებმა მოითხოვეს 30—60 დღე ვადა მიბარებული ფულის უკანვე დასაბრუნებლად. ბრუკლინში და ბალტიმორაში დაიხურა ორი ბანკი.

**15 ოქტომბერი.**

**ჰონკონგი**. მეკობრეებმა ყალბი ნიშანით გააჩერეს ინგლისის გემი და მგზავრები გაძარცვეს.

**ლონდონი**. მეტროპოლიტენის ელექტრონული მატარებელი სქელ ნისლისა გამო დაეჯახა სად. ვერტგემისტედზე მდგომ მატარებელს. 12 მგზავრი დაიჭრა, სამი მათგანი სასიკვდილოდ.

**სიმფერიპოლი**. გემი «ლიტუანია“ თავისით წავიდა კოპენჰაგენში შესაკეთებლად.

**ნიუ-იორკი**. გაზეთ «ვოლდში“ დაბეჭდილია, რომ პირპონტ-მორგანი, როკფელერი და გარიგენი ამშვიდებენ ფულის შემტანთ და ურჩევენ ბანკებიდან ფული უკან ნუ მიგაქვთო.

**ბერლინი**. „ფოსიშე-ცეიტუნგი“ არჩევს რუსის სახელმწიფო ბანკის ანგარიშის მდგომარეობას და ამბობს, რომ შემოდგომაში ქაღალდის ფულის ბლომად გამოშვება, თუ მივიღებთ მხედველობაში რუსეთის თავისებურ პირობებს, ჩვეულებრივი მოვლენააო.

**პარიზი**. მულათ-გაფიდის მდგომარეობა თანდათან ძნელდება. ის ჩქარა იძულებული იქნება მედიუმის ოლქს თავი დაანებოს, რადგან მისი ჯარი მულაი რემიდის უფროსობით გაიფანტა.

**თეირანი**. სანიე-დოულემ შინაგან საქმეთა მინისტრობის მაგივრად მიიღო საერო განათლების მინისტრობა. შინ. საქ. მინისტრად დანიშნეს ეფელ-დოულე.

**ტულონი**. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მიჩმანს ულმოს თანა-ზიარი არავინ არ ჰყოლია. ალბათ საქმეს სამხედრო სასამართლოს გადასცემენ.

**თეირანი**. გუშინ მეჯლისს წარუდგა ახალი კაბინეტი. ტყუილი გამოდგა ცნობა ისპაჰანის მუშტეიდის ადა-მეჯეფის მოკვლის შესახებ.

**ვაშინგტონი**. ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 13 ოქტომბერს მამპტონ-როდსიდან ჯავშნოსანთა ესკადრა წყნარ ოკეანეში გაემგზავრება საკრეისროდ.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ბელიშვილი.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის**

**გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1907 წ. 20 ოქტომბერს ნაშუადღევის 1 საათზე ქალაქის გამგეობის შენობაში მოხდება ვაჭრობა და იჯარით გაცემა მაწანწალა ძაღლების დაჭერისა, დახოცილ საქონლის აკრეფისა ქალაქის ქუჩებიდან და ძაღლებზე არსებულ გადასახადის შეგროვებისა. პირობების გაგება შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში 10 საათიდან 2 საათამდე, კვირა უქმე დღეების გარდა. (3—6—3)

1—2 მან. ...ავლებს მსურველ დღეში.

...თანამშრომელი ...

30 სქესისა

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верiйскiй спускъ д 15 и 5. (100—71—72)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში

იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება გაზეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის მველი ისტორია»**. ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების მველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იაშვილისა . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალები საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოც მა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузiи и древней Арменiй», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.

✦✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦✦




**კალოშებისა**

და სხვა რეზინის საქონლისათვის

**უმაღლესი ჯილდო**

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

**ლეოპოლდ ნეიშელლერ.**

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა,

**ტფილისში,**

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—74)

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.